ქ.თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ.№190-ში მდებარე, ს/ს „შოდა“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი №01.13.07.023/087 და №01.13.07.023/101) განლაგებულ შენობა-ნაგებობების დემონტაჟთან დაკავშირებით მათ მიმდებარედ მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე

დასკვნა

ქ.თბილისი ***19 აგვისტო 2014წ.***

ჩვენს მიერ ვიზუალურად დათვალიერებულ იქნა ქ.თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ.№190-ში მდებარე, ს/ს „შოდა“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი №01.13.07.023/087 და №01.13.07.023/101) განლაგებული დასაშლელი შენობა-ნაგებობები და მათ მიმდებარედ მომიჯნავე შენობები, მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისა და სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებათა დასახვის მიზნით.

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.13.07.023/087 განთავსებულია სამი ნაგებობა, კერძოდ №1 - ერთსართულიანი, გაბარიტული ზომებით გეგმაში (20.0X7.20)მ, №2 - ერთასრთულიანი, ზომებით გეგმაში 912.9X3.22)მ და №3 - ერთსართულიანი, ზომებით გეგმაში (22.6X11.6)მ. აღნიშნული ნაგებობების მზიდი კედლები ნაშენებია ე.წ. შერეული წყობით (აგური, სამშენებლო ბლოკი) ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. აღნიშნულ შენობა-ნაგებობებს უშუალოდ ესაზღვრება მომიჯნავე ნაკვეთზე განთავსებული შენობები, კერძოდ, №1 შენობას ესაზღვრება ფარდულის ტიპის ნაგებობები, ხოლო №3 შენობას ერთ სართულიანი აგურის შენობა. ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ შენობებს აქვთ საერთო კედელი, რაც დემონტაჟის დროს უნდა იქნას შენარჩუნებული, ხოლო რაც შეეხება №3 შენობის მიმდებარედ მომიჯნავე შენობას, საერთო კედლის პარაპეტის ნაწილი აუცილებლად უნდა დაიშალოს სახურავის დონემდე, რათა არ მოხდეს მისი უეცარი ჩამონგრევა-ჩამოზვავება.

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.13.07.023/101 ასევე განლაგებულია სამი ნაგებობა, კერძოდ №1 - ზომებით გეგმაში (2.3X2.10)მ, №2 - ზომებით გეგმაში (44.5X6.4)მ და №3 - ზომებით გეგმაში (6.7X3.25)მ. არნიშნული ნაგებობების მზიდი კედლები ნაშენებია ე.წ. შერეული წყობით (აგური, სამშენებლო ბლოკი) ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. №2 შენობას უშუალოდ ესაზღვრება 3-5 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, აშენებულია მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, მისი მზიდი კედლები წარმოდგენილია აგურის წყობით, სართულშუა გადახურვები ხის მზიდ კოჭებზეა მოწყობილი. ვიზუალური დათვალიერებით საცხოვრებელი სახლის შენობას არ აღენიშნება მძიმე ხასიათის დეფორმაციები. შენობაზე არსებული დეფორმაციები და ბზარები ძირითადად გამოწვეულია მისი ამგები მასალების სიძველითა და ექსპლოატაციის დაბალი დონით. აღნიშნული დეფორმაციები და

ბზარწარმონაქმნები არ წარმოადგენს საშიშროებას შენობის მდგრადობისა და საიმედობის თვალსაზრისით და ასევე მის მიმდებარედ №2 შენობის სადემონტაჟო სამუშაოები არ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას მის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

ზემოთ აღნიშნული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების დაშლა განხორციელდეს ხელით.
2. აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას მომიჯნავე შენობებთან საერთო კედლები.
3. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს აუცილებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას დამზღვევი ღონისძიებები (ხელითონის დროებითი მიდგმითი გამბრჯენების მოწყობა, არსებული კედლების დროებითი გამაგრება და სხვა).
4. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სპეციალურად დამუშავებული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის საფუძველზე.

საქართველოს მშენებელ-ექსპერტთა
ასოციაციის წევრი, */ა.კორკოტაშვილი/*
ინჟინერ-კონსტრუქტორი

მობ.ტელ. 599 18 86 52

ელ.ფოსტა korkotashvili.sandro@yahoo.com